

იოვანე-ზოსიმე და „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“

X საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლიტურგისტი, პოეტი და მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე ჯერ საბანშიდის, ხოლო შემდგომ სინანშიდის ქართველთა მონასტრების სულიერი წინამძღოლი, მესვეური და მწიგნობრული საქმიანობის სულისჩამდგმელი იყო. იოვანე-ზოსიმე იყო ბერმონაზონი, იგი თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო პალესტინისა და სინის მთის ქართულ მონასტრებთან, იყო სამონასტრო ცხოვრების ორგანიზატორი, აქაური საღვთისმეტყველო სკოლებისა და ლიტერატურული პროცესების წარმმართველი. ქართულ ხელნაწერთა სინურ კოლექციაში დაცულია მისი შედგენილი თუ გადაწერილი მრავალი მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რითაც მან დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. მან შეადგინა ორიგინალური და ნახევრად ორიგინალური კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებსაც ძვირფასი ცნობების შემცველი რედაქციული შენიშვნები და ანდერძ-მინაწერები ახლავს. მის მიერ შედგენილი ლიტურგიკული დანიშნულების კრებულები ასახავენ ეროვნულ ტენდენციებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ქრისტიანული ეკლესიის მზარდ მოთხოვნილებებს, რაც გამოკვეთს მათს ღირებულებას ქართული კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის სრულყოფილად და მრავალმხრივად შესასწავლად. სწორედ ამ კრებულებში დაცული კოლოფონების დახმარებით ხდება შესაძლებელი იოვანე-ზოსიმეს მოღვაწეობის საბანშიდური და სინური პერიოდების განსაზღვრა, მის მიერ ჩატარებული ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო და მწიგნობრული მუშაობის დახასიათება.

კ. კეკელიძემ აღნიშნა: „იმ ხელნაწერთა მიხედვით, რომელნიც უმთავრესად სინას მთაზეა დაცული, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი ადამიანისა, რომელიც სათავეში ედგა ქართველების საზღვარგარეთულ სამონასტრო კოლონიას მათე საუკუნეში“ (კეკელიძე 1960: 164). იოვანე-ზოსიმეს, რომელიც ხელნაწერთა კოლოფონებში ორი სახელით მოიხსენიება, ხოლო ერთგან მისი სახელი კრიპტოგრაფიულადაც გვხვდება (Sin-2, 185რ), არ ჰქონია მღვდლობის ხარისხი, არც დეკანოზი ყოფილა და არც მამასახლისი. ამან იოვანე-ზოსიმეს შესაძლებლობა მისცა, მთელი თავისი დრო, ენერგია, განათლება მწიგნობრული, ლიტერატურული და საღვთისმეტყველო საქმიანობისათვის მოეხმარა. ღრმა განათლების, ძლიერი სულის, ენერგიით სავსე იოვანე-ზოსიმე ფიზიკურად სუსტი, ავადმყოფი ყოფილა. თითქმის ყოველ ხელნაწერში იგი უჩივის სუსტ მხედველობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სინური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების მიხედვით, იოვანე-ზოსიმე არის: 1. ტექსტის განმაცხოველებელი, ე. ი. ტექსტის შებლაღული ადგილების აღმდგენელი; 2. როგორც ახალი წიგნების, ისე ადრე გადაწერილი ხელნაწერების „შემმოსელი“, ე. ი. შემკინძველი და ყდის გამკეთებელი; 3. ამა თუ იმ წიგნის შემკვეთი და მომგებელი; 4. ტექსტის „დამწხრეკი“ ან „მწხრეკელი“; 5. გადამწერი (კეკელიძე 1960: 166). საყურადღებოა ის გარემოება, რომ იოვანე-ზოსიმე, ბერძნული ენის კარგი მცოდნე, მთარგმნელობით საქმიანობას არ ეწეოდა. მაგრამ კ. კეკელიძემ დასვა საკითხი იმის შესახებ, ხომ არ ნიშნავს ტერმინი „დამწხრეკა“ მთარგმნელობასაც (იქვე). იოვანე-ზოსიმე უფრო მეტად ცნობილია, როგორც გადამწერი. გადასაწერად იგი

ძირითადად ბიბლიურ და ლიტურგიკულ ტექსტებს არჩევდა.

იოვანე-ზოსიმეს შეუდგენია ლიტურგიკული კრებული Sin-34, რომელშიც მას, სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად, მოუთავსებია უნიკალური კალენდარი, შედგენილი ოთხი დედნის საფუძველზე: იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის, საბანძინდის კალენდრებისა და წმინდა საფლავის კანონის, ანუ „იერუსალიმის განჩინების“ საფუძველზე. ყოველ ეკლესიას, რომელიც ემყარებოდა ეროვნულ, აღმსარებლობით თუ ადმინისტრაციულ პრინციპს, თავისი კალენდარი ჰქონდა, რომელშიც ამ ეკლესიის წმინდანი და დღესასწაული აღინიშნებოდა საუფლო დღესასწაულებსა და მსოფლიო წმინდანების ხსენების გვერდით. დროთა განმავლობაში ცალკეულ ეკლესიებში არსებული კალენდრები გაერთიანდა და ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, რამაც დადებითი როლიც შეასრულა და უარყოფითიც. დადებითი იმიტომ, რომ კალენდრებში ყველა ქრისტიანული ქვეყნის წმინდანების ხსენება იყო დადებული და მათი სახელები შემოინახეს კიდევ. უარყოფითად იმოქმედა იმიტომ, რომ გაერთიანებამ კალენდართა ინდივიდუალობა ნაშალა და მათი სპეციფიკური თავისებურება გადაფარა. ამიტომ ადგილობრივ კალენდართა შორის, რომელთა მოძიება და აღდგენა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, იოანე-ზოსიმეს კალენდარს ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან იგი გამოირჩევა ქართული ელემენტების არსებობით; კალენდარში შეტანილია ქართული ეკლესიის წმინდანები და დღესასწაულები: წმინდა ნინო, წმინდა აბოთბილელი, წმ. არჩილ მეფე, კათალიკოსი მამაჲ, წმ. შუშანიკ დედოფალი, ყოველნი წმინდანი მონაშენი ქართლსა შინა წამებულნი, მანგლისის ჯვარი, მცხეთის ჯვარი.

ყოველივე ეს იოვანე-ზოსიმეს ეროვნულ სულს, ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ თვითშეგნებას გვამცნობს. იგი თავის საღვთისმეტყველო-მნიგნობრულ საქმიანობაში ყოველთვის ითვალისწინებდა ეროვნულ მიზნებსა და საჭიროებებს. ყოველ ხელნაწერს, რომელსაც იგი ხელს ჰკიდებდა გადასაწახად, სარედაქციოდ თუ გასაცხოველებლად ქართველი ერის ინტერესებსა თუ მოთხოვნებს უხამებდა. ყოველ მის ნაამაგარ ხელნაწერში, კ. კეკელიძის სიტყვით, „გამოსჭვივის ცხოველი პატრიოტული გრძნობა საზღვარგარეთ მომუშავე შეგნებული და იდეური მამულიშვილისა“ (კეკელიძე 1960: 167). მის მიერ შედგენილი იადგარი, კალენდარი თუ პასქალისტური ხასიათის შრომა ეროვნული თვითშეგნებითა და ცნობიერების მაღალი დონით გამოირჩეოდა. თავისი რედაქტორული მოღვაწეობითა და სკრიპტოლოგიური სამუშაოებით იოვანე-ზოსიმე ქართული კულტურის განვითარებას, ერის სულიერ ფასეულობათა აღორძინება-აღმავლობას ემსახურებოდა.

იოვანე-ზოსიმემ ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა, როგორც შემოქმედმა. ტრადიციულად იგი მიჩნეულია ქართველი ერის ცნობიერების გამოვლენისა და მესიანური იდეის შემცველი საგალობლის ავტორად. ესაა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

იოვანე-ზოსიმეს საგალობლის ავტორობისა და დანერის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი თვალსაზრისი არსებობს: 1. ტრადიციული შეხედულებით, იოვანე-ზოსიმე არის „ქებაჲს“ ავტორი (კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, ი. ლოლაშვილი, ზ. კიკნაძე, რ. სირაძე, მ. ჩახავა, ზ. გამსახურდია და სხვ.); 2. საპირისპირო აზრი – იოვანე-ზოსიმე არ არის ავტორი „ქებაჲსა“, გამოთქმული აქეთ პ. ინგოროყვას, ა. ბაქრაძეს, რ. პატარიძეს, გ. ნარსიძეს, თ. ალდამიძეს, რომლებიც თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ, ხოლო სხვები, ვინც ამ შეხედულებას იზიარებენ, თავიანთ არგუმენტაციას არც გვთავაზობენ იმიტომ, რომ მათ „ქებაჲ“ X საუკუნის ძეგლად არ მიაჩნიათ.

ცხადია, ავტორობის პრობლემასთან უშუალოდაა დაკავშირებული ქრონოლოგიური საკითხიც, როდის შეიძლებოდა დანერილიყო საგალობელი და ავტორობის პრობლემის გადანყვეტა ამავე დროს საგალობლის დათარიღების, შექმნის ეპოქის გადანყვეტასაც გულისხმობს. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ დანერის თარიღის გადანყვეტა ავტორობის პრობლემას ვერ გადანყვეტს. საკითხი უალრესად რთულია, ვინაიდან იმ ოთხი ხელნაწერიდან, რომლებითაც შემოგვენახა თხზულება, არსად არაა მითითებული ავტორი. ამიტომ, უპირველესად, თავისთავად დაისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა იოვანე-ზოსიმეს X საუკუნის 50-60-იან წლებში შექმნა ქართული ენისა და ქართველი ერისადმი მიძღვნილი მესიანური ხასიათის საგალობელი და რა ნაწილები არსებობდა საამისოდ?

იოვანე-ზოსიმეს მოღვაწეობის ზოგადი დახასიათებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის მას საბანშიდისა და სინანშიდის მონასტრების სკრიპტორიუმის გამდიდრებაში, როგორი ძალისხმევითა და რუდუნებით ადგენდა და რედაქტორობდა იგი იმ უმნიშვნელოვანეს ლიტურგიკულ კრებულებს, რომლებსაც, პრაქტიკული საქმიანობის გარდა, სასწავლო-აღმზრდელობითი ფუნქციაც ეკისრებოდა. ღრმა განათლების გარეშე იგი ვერ შეადგენდა Sin-34-ის ტიპის იადგარს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკის, ქართული საეკლესიო-ეორტალოგიური კალენდრის ჩამოყალიბებაში, რომელიც, როგორც ამას კრებულის შემდგენელიც მიუთითებს, მეცნიერული ხასიათისაა.

„ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“ ჩვენამდე შემონახულია ოთხი ხელნაწერით: 1. 949-965 წლებში იოვანე-ზოსიმეს შეუდგენია ლიტურგიკული კრებული, ცნობილი Sin-34, რომლის ძირითადი ნაწილი ინახება სინას მთაზე, ნაწილი – სანკტ-პეტერბურგში, ნაწილი – ლაიპციგში. საგალობლის ტექსტი შემონახულია სანკტ-პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის (ყოფილი ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა) ხელნაწერთა განყოფილების ფონდის (ტიშენდორფისეული კოლექცია) პალიმფსესტურ ფურცელზე. ხელნაწერი საბანშიდის მონასტერში იოანე-ზოსიმეს მოღვაწეობის პერიოდშია შესრულებული; 2. Sin-38, 979 წლისა, გადანერილი სინას მთაზე; 3. Sin-32, 981 წელს იოვანე-ზოსიმეს განუახლებია და შეუმოსავს 864 წლის ცნობილი სინური მრავალთავი და მისთვის თავისივე ხელით ხსენებული საგალობელი დაურთავს; 4. Sin-6, 982 წლისა, გადანერილი, აგრეთვე, სინას მთაზე. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით, კერძოდ, ლ. ხევსურიანის დაკვირვებით, საგალობლის ტექსტი ამ ხელნაწერში სხვა ხელითაა შეტანილი და არა იოვანე-ზოსიმეს ხელით. ზემოხსენებული ფაქტები მიუთითებს, რომ იგი გავრცელებული და ცნობილი ყოფილა სინას მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებს შორის. უცნობია, იყო თუ არა იგი საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე ბერებისთვის ცნობილი, იცნობდა თუ არა მას ქართველი საზოგადოებრიობა მის პირველ პუბლიკაციამდე. არც თვით საგალობლის ტექსტი და არც მასში ამ მასშტაბით დასმული პრობლემატიკა არ შეინიშნება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მდებარე სხვა მონასტრებში არსებულ საღვთისმეტყველო სკოლებში. საგალობელი მხოლოდ სინურ ხელნაწერებშია დაცული და ლ. ხევსურიანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, სამი მათგანი იოვანე-ზოსიმეს ხელითაა დანერილი, ხოლო ერთი – სხვა ხელითაა შესრულებული (ხევსურიანი 2000: 43).

ჩვენ ვიზიარებთ ტრადიციულ თვალსაზრისს საგალობლის X საუკუნის 50-60-იან წლებში შექმნისა და მის ავტორად იოვანე-ზოსიმეს აღიარების შესახებ შემდეგი არგუმენტების საფუძველზე:

1. ვფიქრობ, საგალობლის დაწერის თარიღის განსაზღვრისათვის, რასაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის ვინაობის დასადგენად, აუცილებელია იდეოლოგიური ნაწარმოების გათვალისწინება, ვინაიდან მის შექმნას წინ უძღოდა ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ანტი-მაჰმადიანური ტენდენციის გამოვლენის, მესიანური იდეის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში. 786-790 წლებში იოანე საბანისძემ შექმნა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „წმ. აბო თბილელის წამება“, რომელშიც ქრისტიანული სამყაროს განაპირა ქვეყნის, ავტორის სიტყვით, „ყურესა ქუეყანისასა“ (ძეგლები 1963//1964: 49), საქართველოს ბიზანტიასთან გათანაბრების საკითხი იჩენს თავს. 951 წელს გიორგი მერჩულის მიერ დაწერილ „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელმაც მცირეოდენი ცვლილება განიცადა 961 წლამდე, კონცეფცია ქართველი ერის სრულყოფილებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლების არსებობის შესახებ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმულით: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, ე. ი. გიორგი მერჩულის განაცხადი იმის შესახებ, რომ საქართველოში („ქართლად“) ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმართება, უკვე გაკეთებულია; აქ გამოთქმულია თვალსაზრისი იმ ტრიადის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში წამოსწია წინ ილია ჭავჭავაძემ: მამული, ენა, სარწმუნოება. ამ ეპოქაში ტაო-კლარჯეთში საფუძველი ეყრება საქართველოს გაერთიანებას ერთი სახელმწიფოებრივი ცენტრით. ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრება აღმავლობის გზას ადგას. ქართველი მოღვაწენი იბრძვიან ერის უკეთესი მერმისისათვის, ისინი გრძნობენ ქვეყნის მომავალს, გაერთიანების მოლოდინში არიან, რაც მათ სიამაყისა და ამბულელებული გრძნობით ალაცებთ. ამიტომ გიორგი მერჩულისეული ეროვნული იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ლოგიკურ გაგრძელებად გვესახება იოანე-ზოსიმესეული ეროვნული და მესიანური შეხედულების წარმოჩენა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო მოვლენად მიმაჩნია სინურ ხელნაწერში შემონახული ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის აკროსტიქი ქართულ ანბანს შეადგენს, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ქართული ანბანის ქება აკროსტიქითაა გამოთქმული (Sin-65, 75ა-76ბ)¹. საგალობელს ზემოდან წარწერილი აქვს: „დასდებლნი მსგეფსისანივე და სადაცა გინდენ, იაბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი“ (მარი 1940: 146-149), რომელიც ცხრა გალობისაგან შედგება და მისი წმინდა და გუერდი. წარწერა ადასტურებს, რომ საგალობელი ძველია, ე. ი. შექმნილი IX საუკუნეში, რაც იმას მოწმობს, ნიადაგი ქართული კულტურის ბიზანტიურ მწერლობასთან შეთანაბრებისათვის, რაც ამ ეპოქის თხზულებებში, მათ შორის იოანე-ზოსიმეს „ქებაჲშია“ გამოვლენილი, მთელი საუკუნით და მეტი ხნით ადრე მნიფდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ X საუკუნეში, 978-988 წლებში, შეადგინა მიქაელ მოდრეკილმა იადგართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო, რომელშიც, Sin-65-ის მსგავსად, მოთავსებულია ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის აკროსტიქი ქართულ ანბანს შეადგენს (S-425, 85r-86r).

2. X საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ჩამოყალიბებულია ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური ფაქტორი – იდეა მესიანიზმისა, რომელიც მხოლოდ საქართველოში არ გავრცელებულა, იგი ყველა ქვეყნის იდეოლოგიას წარმართავდა. საყურადღებო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკვე საამისო საფუძვლებია მოძიებული და განსაზღვრული. ამ დროისათვის უკვე შე-

1. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენში გავრცელდა ე.წ. ანბანთქებები.

ქმნილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რამდენიმე რედაქცია, თხზულებისა, რომელიც ერთ-ერთ მკვიდრ საფუძვლად დაედო ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებასა და ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, გაბატონებულია თვალსაზრისი ელიას ხალენის, უფლის კვართისა და სამსჭვალის საქართველოში დავანებისა, ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევისა, ქვეყნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი წილხედობისა, წმინდა ნინოს მიერ – ვითარცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონაცვლის მიერ ქართველთა მოქცევისა, წმინდა იოანე ზედაზნელის მიერ იერუსალიმიდან მადლის ქვის საქართველოში ჩამოტანისა. ყოველივე ეს მოითხოვდა ქართული ენის ღვთაებრიობის, საღვთო ენად აღიარებასაც, რაც გამოიხატა იოვანე-ზოსიმეს საგალობელში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

აქვე უნდა დავიმონწო რ. სირაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ განსახილველი საგალობელი ქართული ენის მოქცევას, ანუ გაქრისტიანებას შეეხება (სირაძე 2008: 180-218). კითხვას, როდის შეიძლებოდა ქართული ენის მოქცევა, მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: მას შემდეგ, რაც ქართულად ითარგმნა ბიბლიური ტექსტები – ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რაც ერის სულიერი მოქცევის საბოლოო საფეხური უნდა ყოფილიყო. ეს პროცესი არსებითად მთავრდება X საუკუნეში. პირველი სრული ბიბლია ქართულ ენაზე იოანე-თორნიკეს დაკვეთით გადაიწერა ოშკის მონასტერში 978 წელს, იგი ინახება ათონის ქართველთა მონასტერში, ივირონში. ამიტომ ვფიქრობ, წინასწარგანზრახულად, ანუ ღვთის განგებით, „ნებითა ღმრთისაჲთა“ უნდა დართვოდა საგალობელი სახარება-ოთხთავის ქართული თარგმანის, ლიტურგიკულ-ჰაგიოგრაფიული თხზულებების შემცველ ხელნაწერებსა და სინურ მრავალთავსაც, რომელშიც ძირითადად ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ძეგლებია თავმოყრილი. ვფიქრობ, ამ წანამძღვართა გარეშე „ქებაჲს“ კონცეფცია ქართული ენისა და ქართველი ერის მისიის შესახებ ვერ ჩამოყალიბდებოდა, მის შექმნას უთუოდ წინ უსწრებდა ქართული ეროვნული ცნობიერების ამაღლება და გაძლიერება.

3. იოვანე-ზოსიმე საზღვარგარეთის ორ ქართულ სავანეში – საბანშიდასა და სინანშიდაზე – მოღვაწეობდა და ადგენდა ქართულ საეკლესიო კალენდარს; ამ დროს ჩვენში უკვე დამუშავებული იყო ნელთალრიცხვის ქართული სისტემა, რომელიც ქართველებს დაუპირისპირებიათ მსოფლიოში ცნობილი ნელთალრიცხვის სხვა სისტემებისათვის. ნელთალრიცხვის ქართულ სისტემაზე წარმოდგენას გვიქმნის სწორედ იოვანე-ზოსიმეს თხზულება „გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა, თთუეთა და დღეთა“. უკვე შემუშავებულია ეროვნული ეორტალოგია, დაწესებულია ქართული რელიგიური დღესასწაულები, ეროვნულ წმინდანთა მოსახსენებლები, სხვადასხვა ეროვნული თარიღის აღმნიშვნელი დღესასწაულები. ყოველივე ეს აისახა ქართულ ენაზე შედგენილ კალენდრებსა და ლექციონარ-კალენდრებში, რომელთა საუკეთესო ნიმუშებად იოვანე-ზოსიმეს კალენდრისა და „იერუსალიმის განჩინების“ დასახელება შეიძლება. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ „ქებაჲში“ ქართული ნელთალრიცხვა შედარებული, უფრო მეტიც, შეპირისპირებულიცაა, სხვა ნელთალრიცხვებთან: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჳს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“. აქვე უნდა აღინიშნოს დიდი ინდიქტიონის, 532-წლიანი ციკლის შესახებაც, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითად კალენდარულ ციკლებს შორის და რომელსაც ქართული ტრადიცია „ქრონიკონს//ქორონიკონს“ უწოდებს; იგი არის დროის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგაც მეორდება მზის, მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების განლაგება. მამა ბიძინას (გუნია) დაკვირვებით, „დიდი ინდიქტიონის 532-წლიანი

ციკლის მეშვეობით აღდგომის დღესასწაული ხდება პერიოდული და მას სააღდგომო, ანუ 532-წლიანი მოქცევის ციკლსაც უწოდებენ, რომელიც მოიცავს (532=28X19)" (მამა ბიძინა, 2011: 30). ვფიქრობ, რომ იოვანე-ზოსიმესეული „ოთხმოცდათოთხმეტი წელი“ სწორედ დიდი ინდიქტიონის, 532-წლიანი ციკლის ამგვარი განმარტების შედეგად იქნება შესაძლებელი, რადგან „ოთხმოცდათოთხმეტი წელი“ ჩანს დაშიფრული, კრიპტოგრაფიული რიცხვი, რომელიც სიმბოლურად მიუთითებს ოცდარვა 19-წლიან „მთვარის ციკლისა“ და ცხრამეტი 28-წლიანი „მზის ციკლის“ ჯამს: 28+19+19+28=94, რაც საგალობელში სხვა წელთაღრიცხვებისაგან განსხვავებულობის ნიშნად არის მიჩნეული. ამ ფაქტის გათვალისწინებით არ არის გასაზიარებელი პ. ინგოროყვას მიერ საგალობლის ამ მუხლის შესწორებული ვარიანტი, სადაც ოთხმოცდათოთხმეტი შეცვლილია ას ოთხით, შესაბამისად, ქართულ და ბერძნულ წელთაღრიცხვებს შორის სხვაობის აღნიშვნის მიზნით ოთხმოცდათოთხმეტის ას ოთხით შეცვლის ახსნის საფუძველიც სწორად არ არის განსაზღვრული.

მიმაჩნია, რომ იოვანე-ზოსიმეს საგალობელსა და მის მიერ შედგენილ პასქალისტურ თხზულებას შორის ორგანული კავშირია, მან თავის კრებულში Sin-34 შეიტანა ქართული საეკლესიო კალენდარი, ხოლო ხელნაწერს დაურთო საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც სიმბოლურად მინიშნებულია დიდი ინდიქტიონის მონაცვლეობის პრინციპები ციფრის „ოთხმოცდათოთხმეტი წელი“ დამონშებით. ამკარად ჩანს, რომ იოვანე-ზოსიმეს მიღებული აქვს ღრმა და საფუძვლიანი განათლება მათემატიკაში, ასტრონომიასა და წელთაღრიცხვათა სისტემებში, იგი რიცხვებთან გაშინაურებულია და შეიძლება ითქვას, „რიცხვებით თამაშობს“ კიდევ საგალობელში.

4. საგალობლის დართვა სინური მრავალთავის, სინური იადგარის (Sin-34), ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებულისა და სახარება-ოთხთავის შემცველი ხელნაწერებისათვის შემთხვევითი არ არის. მათი ანდერძ-მინანერები გვამცნობენ, რომ იოვანე-ზოსიმეს სახარებათა ტექსტები არაერთხელ გადაუნერია, მათ შორის მათეს სახარება, რომელსაც ახსენებს კიდევ საგალობელში: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათქსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს“. მათეს სახარების ქართული თარგმანის პირველი სიტყვაა „ნიგნი“ („ნიგნი შობისა იესუ ქრისტესი“), იგი იწყება „წილით“, იოვანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი საგალობლის ზემოთ ციტირებულ ფრაზაში სწორედ ეს ფაქტია აქცენტირებული. აგრეთვე, საგალობელი მთავრდება შემდეგი წინადადებით: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე, და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგითხარ, და ესე წილი ანბანისაჲ“, რომელშიც კვლავ ყურადღება გამახვილებულია ასო-ბგერაზე „წ“. ამდენად, იოვანე-ზოსიმეს სკრიპტოლოგიურ სამუშაოსა და ორიგინალურ შემოქმედებას, კერძოდ, „ქებაჲს“, შორის არსებითი კავშირი შეინიშნება.

5. შემთხვევითი არ უნდა იყოს საგალობლის დართვა არც თვით იოვანე-ზოსიმეს მიერ განახლებული და „ტყაფითა ზროხისაჲთა“ შემოსილი სინური მრავალთავისათვის, რაც იმით იყო განპირობებული, რომ, ერთი მხრივ, იოვანე-ზოსიმემ თავად იზრუნა სინური მრავალთავის ხელნაწერის განახლებაზე, მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სინის მთის ქართველთა მონასტერში მასთან ერთად სხვა ბერებიც ეწეოდნენ მნიგნობრულ მოღვაწეობას, კერძოდ, ბერ-მონაზონთა საგანგებო ჯგუფი მოღვაწეობდა ხელნაწერთა გასამრავლებლად, მაგრამ როგორც სინურ მრავალთავში, ისე სხვა ორ ხელნაწერშიც საგალობელი

იოვანე-ზოსიმეს შუუტანია, მისი ხელითაა შესრულებული; ეს ტექსტი მხოლოდ ერთ ხელნაწერშია სხვა ხელით შეტანილი. აქვე შევნიშნავთ, „ქება“ X საუკუნის მეორე ნახევრამდე რომ შექმნილიყო, რა დროიდანაც გვაქვს ამ ტექსტის შემცველი ხელნაწერები შემონახული, ვფიქრობ, უთუოდ შემორჩებოდა მისი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ნაკვალევი. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საგალობლის ტექსტი არ გავრცელებულა.

6. საგალობელში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ესქატოლოგიურ მოტივზე, მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა სანამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ის გარემოება, რომ იოვანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ხელნაწერებსა და მის მიერ შედგენილ Sin-34-ის ნუსხას ახლავს ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც ნათლად იკვეთება მაცხოვრის მეორედ მოსვლის მოლოდინი. უფრო მეტიც, ის ცდილობს ამ დროის გამოანგარიშებასაც. ესეც გვაფიქრებინებს, რომ საგალობლის ავტორი იოვანე-ზოსიმეა.

7. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ საგალობლის სახელწოდება სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. მართლაც, ოთხი ხელნაწერიდან ერთში – Sin-34-ის ფრაგმენტში, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული, მას ეწოდება „ქება ქართულისა ენისაჲ“, ორში Sin-38-სა (979 წ.) და 864 წლის სინურ მრავალთავს (Sin-32-56-33) 981 წელს დართულ ფურცელზე იგი გვხვდება სახელწოდებით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ერთში – Sin-6 (982 წ.) – „ქართულისა ენისაჲ“, თუმცა ამ ხელნაწერის ზანდუკში იგი მითითებულია როგორც „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ლ. ხევსურიანის დაკვირვებით, „სათაურის ეს ფორმულირება იოვანე-ზოსიმესეულია. ტექსტის გადაწერის შემთხვევაში იგი ისეთსავე სათაურს მისცემდა ძეგლს, როგორც ეს ABC ნუსხებშია. D ნუსხის სათაურით ძეგლი არ აღიქმება ქართული ენის შესხმა-შემკობად, რაც ასე გამოკვეთილია ABC ნუსხებში“ (ხევსურიანი 2000: 43). იოვანე-ზოსიმეს თავისუფალი დამოკიდებულება საგალობლის სახელწოდებისადმი უთუოდ მოითხოვს ახსნას. ვფიქრობ, სათაურთა ცვალებადობა ხელნაწერებში, ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც კი, როდესაც უშუალოდ ტექსტის წინ მითითებული სახელწოდება განსხვავდება ამავე ხელნაწერის ზანდუკის ჩვენებისაგან, არსებითად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იოანე-ზოსიმე თავად იყო საგალობლის ავტორი; თხზულება რომ სხვისი დაწერილი იყოს, გადამწერი სხვადასხვა ხელნაწერში ერთსა და იმავე საგალობელს განსხვავებული სახელწოდებით არ შეიტანდა. ვფიქრობ, ისეთი დაკვირვებული და საქმის ერთგული პიროვნება, როგორიც იოვანე-ზოსიმე იყო, პირიქით მოიქცეოდა და საგალობლის სახელწოდებას გაასწორებდა. ამავე დროს, D ნუსხაში შეტანილი ტექსტის სათაური განსხვავდება იოვანე-ზოსიმესეული სახელწოდებისგან, ხოლო ზანდუკში კი მისეული დასახელებაა დამონმებული, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ გადამწერმა ზანდუკში სწორედ იმ სათაურით მოიხსენია, როგორც სხვა ხელნაწერებში ჰქონდა იოვანე-ზოსიმეს შეტანილი. საგალობელი რომ სხვისი დაწერილი იყოს, რამდენიმე დედანი, სულ ცოტა ოთხი დედანი, უნდა ჰქონოდათ ხელთ, ვინაიდან ოთხსავე ხელნაწერში განსხვავებული ვარიანტია შემონახული. დავიმონმებ ისევ ლ. ხევსურიანის შეხედულებას, რომელმაც შენიშნა სხვაობები ABC და D ნუსხებს შორის: „სხვადასხვა ხასიათის განსხვავებები ABC და D ნუსხებს შორის, რომლებიც მკვლევართა მიერ არის აღნუსხული, უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ იოვანე-ზოსიმეს დროისათვის არსე-

ბობდა თხზულების ტექსტის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც D-ში ჩართეს. D-ში ძველის ჩართვაზე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო არა იოვანე-ზოსიმე, არამედ მიქაელ დეკანოზი, ფაქტიური შემკრები თხზულებებისა და D კრებულის შემდგენელი“ (ხევსურიანი 2000: 43). აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვარაუდი, რომ ოთხი დედანი არსებულიყო ოთხივე ხელნაწერისათვის, სარწმუნოდ არ გვესახება.

ისიც საინტერესოა, რომ იოვანე-ზოსიმეს საგალობლის ტექსტიც სხვადასხვა ხელნაწერში განსხვავებულად შეაქვს, ე. ი. როგორც საგალობლის სახელწოდებაში, ისე უშუალოდ თვით საგალობლის ტექსტშიც არის ვარიანტები (იხ. ლ. ხევსურიანის შრომა, 2000: 5-50). ჩემი ვარაუდით, იოვანე-ზოსიმე თავის საგალობელს ზეპირად წერდა²; მას წინ არ ედო დედანი, რითაც შეიძლება აიხსნას ხელნაწერებში შემონახული ვარიანტების არსებობა. ისიც შეიძლება დავამატოთ, რომ სუსტი მხედველობის მქონე იოვანე-ზოსიმე დედნის გარეშე, ზეპირად წერდა საგალობელს ხელნაწერში. „ქებაის“ ტექსტისა და სახელწოდების ვარიანტების არსებობა, რომლებიც რედაქციული ხასიათისა არ არის, იმას გვაფიქრებინებს, რომ იოვანე-ზოსიმეს ყოველ ახალ ნუსხაში საგალობელი შექმნიდა ისე, როგორც ახსოვდა. ასეთი შემთხვევისა თუ პირობების გათვალისწინებით, ვარიანტთა არსებობა, ვფიქრობ, ასე შეიძლება აიხსნას. სახელწოდებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამის თქმაც არის შესაძლებელი. შესაძლოა, ხანდაზმულ, სუსტი მხედველობის მქონე ბერს საგალობლის სახელწოდებისათვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია, მისთვის მთავარი ის იყო, სახელწოდებას საგალობლის დედააზრი, ძირითადი მიზანდასახულობა გადმოეცა და აესახა, რაც ყველა იმ ვარიანტის მიხედვით მიღწეულია, რომლებიც იოვანე-ზოსიმეს ხელიდანაა გამოსული. იოვანე-ზოსიმე რომ გადამწერი ყოფილიყო და არა ავტორი, არც სახელწოდებას და არც თვით საგალობლის ტექსტს ასე თავისუფლად არ მოეპყრობოდა. სხვა ტექსტებს, კერძოდ, ბიბლიურ, ჰაგიოგრაფიულ, ჰომილეტიკურ და სხვა ჟანრის ტექსტებს იგი ასე თავისუფლად არ ეპყრობა. იოვანე-ზოსიმე, ავტორი საგალობლისა, თავისი შეხედულებისამებრ ცვლის საგალობლის ტექსტსაც, მხოლოდ ვარიანტული თვალსაზრისით, და სახელწოდებასაც.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც: ხელნაწერთა 3 ნუსხაში, რომლებიც იოვანე-ზოსიმეს ხელითაა შესრულებული, საგალობლის ტექსტი მუხლებადაა დაყოფილი და თითოეული მუხლი „და“-თი იწყება, მხოლოდ პირველი მუხლი იწყება სიტყვით „დამარხულ“; ეს ფაქტი შენიშნა პ. ინგოროყვამ და 1924 წელს საგალობელი პირველმა დაყო მუხლებად, სულ 8 მუხლი გამოყო. მოგვიანებით მან კიდევ უფრო დააზუსტა მუხლთა რაოდენობა და 10 მუხლი გამოყო (ინგოროყვა 1954: 749-751). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელში დონი ორ ხელნაწერში 10 მუხლს, ხოლო ერთში 11 მუხლს გამოყოფს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „და“ მარცვლის სიტყვისა თუ სტრიქონის (ტაეპის) დასაწყისად გამოყენება უფრო მეტჯერ, კერძოდ, 14 შემთხვევაში, შეიძლებოდა მიგვეჩნია. აქ გასათვალისწინებელია ხელნაწერთა მონაცემები, რომელთაც ყურადღება მიაქცია ლ. ხევსურიანმა, კერძოდ, „დ“ ასოს ზომას, და აღნიშნა, რომ ABC ნუსხებში მუხლის დასაწყისი დონები ყოველთვის ერთი ზომისა არაა: „როცა მუხლის დასაწყისი სტრიქონის დასაწყისს ემთხვევა, ასეთ შემთხვევაში დონი უფრო დიდი ზომისაა, რადგან საზედაო ასოს მეტი თავისუფალი არე აქვს. საზედაო დონებს, ვფიქრობთ, მხატვრული დატვირთვაც აქვს

2. ტექსტის ზეპირად ჩანერის ნიმუშად შეიძლება ნმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ „სანელინდო იადგარისა“ და სხვა ტექსტთა ჩანერა დავიმონმოთ, რასაც გიორგი მერჩულე წმინდა მამის ფენომენალური მუხსიერების დასადასტურებლად მოიხმობს.

მინიჭებული; ტექსტის შიგნით დონები უფრო მცირე ზომისაა, თუმცა ფუნქცია იგივე აქვთ" (ხევსურიანი 2000: 48). ლ. ხევსურიანის დაკვირვებით, ხელნაწერთა ნუსხებში დონის გამოყოფის შემთხვევები უნიფიცირებული არაა, რის გამოც ტექსტის აკადემიური გამოცემისათვის საჭირო გახდა არჩევანის გაკეთება ერთ-ერთ ხელნაწერ ნუსხაზე, კერძოდ, B ნუსხაზე, რომელშიც ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი საგალობლის მუხლების დასაწყისები დონების მეშვეობით.

D ნუსხაში, რომელზე დაკვირვების შესაძლებლობა გვაქვს ლ. ხევსურიანისეული გამოცემის მიხედვით, მუხლები გამოყოფილი არაა, ე. ი. დონები განსხვავებულად არ წერია, ე. ი. გადამწერს საზომის მიხედვით არ გაუნწყია. ეს გარემოებაც იმ ვარაუდის საბუთად შეიძლება გამოდგეს, რომ საგალობლის ავტორი იოვანე-ზოსიმეა, რომელსაც საგალობლის ტექსტი თავადვე დაუყვია მუხლებად, ხოლო გადამწერს, რომელმაც, არ ვიცით, რომელი ხელნაწერით ისარგებლა, ყურადღება არ მიუქცევია საგალობლის მუხლებად დაყოფისათვის და იგი საზომის გარეშე შეუტანია ხელნაწერში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, მართალია, საგალობლის შემცველ არც ერთ ხელნაწერში არ არის მითითებული ავტორი, მაგრამ ყველა ეს ხელნაწერი გადანერვილი ან შედგენილია სინას მთაზე, სამი მათგანი – იოვანე-ზოსიმეს მიერ, რაც ყველგან აღნიშნულია, ცნობილია მათი გადანერვის თარიღიც. ყველა ეს ხელნაწერი დროის განსაზღვრულ მოკლე მონაკვეთშია შესრულებული, კერძოდ, X საუკუნის 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების დამდეგის ჩათვლით. თვით იოვანე-ზოსიმე, ჩანს, 985 წლის მომდევნო წლებში, კ. კეკელიძის ვარაუდით, 990 წლამდე უნდა გარდაცვლილიყო, ვინაიდან მისი ხელიდან გამოსული ბოლო ხელნაწერი 985 წლით თარიღდება. ამის შემდეგ „ქებაჲ“ აღარავის გადაუწერია.

ამრიგად, ოთხ სინურ ხელნაწერში შემონახული საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დანერვილია X საუკუნის შუა წლებში, მაშინ, როდესაც პირველად იქნა იგი შეტანილი Sin-34-ში, იოვანე-ზოსიმეს მიერ შედგენილ სამეცნიერო-ლიტურგიკულ კრებულში. მის ავტორად ზემოთ მოხმობილი საბუთების საფუძველზე იოვანე-ზოსიმე უნდა ვიგულოვოთ.

2000 წ.

ლიტერატურა

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

კეკელიძე 1960 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

მამა ბიძინა 2011 – მამა ბიძინა (გუნია), საქართველო გამოთვლები „მცხეთის დავითნის“ A-38 ხელნაწერის მიხედვით, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2011.

marj 1940 – Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940.

სირაძე 2008 – რ. სირაძე, კულტურა და სახისმეტყველება, თბ., 2008.

ძეგლები 1963/1964 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუთებლად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიძემ, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963/1964.

ხევსურიანი 2000 – ლ. ხევსურიანი, „ქებაჲს“ ხელნაწერები, ნიგნში: ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ, შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე, 2000.